

ადამიანთა უფლებების დაცვა ნებისმიერი თანამედროვე სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. განსაკუთრებული აქტუალობით ეს საკითხი იმ ქვეყნებში სარგებლობს, რომლებიც დემოკრატიული ტრანზიციის პროცესში იმყოფებიან. ამ ქვეყნებში 90-იანი წლების შემდეგ თავიდან დაიწყო ადამიანის უფლებების, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღირებულების გააზრება. ხშირად სურათი ადამიანთა უფლებების დაცვის კუთხით მძიმეა, დაბალია მოსახლეობის თვითშეგნებისა და ცნობიერების დონე. თუმცა ბოლო პერიოდში მთავრობათა და სამოქალაქო სექტორის გააქტიურების შედეგად შეიმჩნევა სიტუაციის გაუმჯობესების ტენდენცია. ასეთ სახელმწიფოთა რიცხვს მიეკუთვნება საქართველოც.

კვლევა, რომელიც “ადამიანთა უფლებების ესტონური ინსტიტუტის” ინიციატივით ჩატარდა და საქართველოში ადამიანთა უფლებების დაცვის კუთხით არსებულ მდგომარეობას მიმოიხილავს, საკმაოდ მნიშვნელოვანი და ღირებულია. უპირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს იმ ფაქტის მნიშვნელობა, რომ საქართველოში არსებული სიტუაციით დაინტერესდა ესტონეთის პირველი და ყველაზე ძველი ორგანიზაცია, რომელიც ქვეყანაში ადამიანის უფლებების საკითხებზე მუშაობს.

უნდა ითქვას, რომ ასეთი კვლევები იძლევა ნათელ წარმოდგენას ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე, პრობლემებზე, სირთულეებზე, რაც საფუძველს ქმნის ამ პრობლემების მომავალი გამოსწორებისთვის. ამას გარდა, უცხოური ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევა ქმნის უფრო მეტად ობიექტურ და რეალურ სურათს ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე მდგარი მწვავე პრობლემების შესახებ, ვიდრე ამას შეძლებდა ოფიციალური სამთავრობო სტრუქტურების მიერ ჩატარებული გამოკვლევა. ესტონური ორგანიზაციის დაინტერესება საქართველოში ადამიანთა უფლებების არსებული სიტუაციით მიაჩნება იმაზეც, რომ საქართველო არის ევროპის ნაწილი და ამ ქვეყანაში ადამიანის უფლებების მონიტორინგი არის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა საქართველოს მომავალი ევროინტეგრაციისთვის. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი არის საქართველოში არსებული სიტუაციისა და მოსახლეობის გამოკითხვის შედეგების შედარება ესტონეთის ანალოგიურ მონაცემებთან. კვლევის ეს ნაწილი ბევრ განსხვავებას გვანახებს ორ სახელმწიფოს შორის, თუმცა საინტერესო იყო მოულოდნელი მსგავსებების აღმოჩენაც. შედარება არის ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდი კვლევის მიზნების და ამოცანების მისაღწევად და ასევე, იმ სფეროების გამოამკარავებლად, რომლებშიც ორ ქვეყანას შეუძლია თანამშრომლობა და ერთმანეთისთვის გამოცდილების გაზიარება.

კვლევა სამი ნაწილისგან შედგება, რაც კვლევას მეტნაკლებად

ამომწურავს და ყოვლისმომცველს ხდის. პირველი ნაწილი მოსახლეობის გამოკითხვაზე დაყრდნობით ადამიანის უფლებების მდგომარეობის ზოგად შეფასებასა და მიმოხილვას იძლევა. მეორე ნაწილი დაეთმო ექსპერტთა აზრების და შეფასების გადმოცემას. მნიშვნელოვანია, რომ ექსპერტები საზოგადოების სხვადასხვა სტრუქტურას - სამოქალაქო სექტორი, მთავრობა, მედია, საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვა - წარმოადგენდნენ. რაც შეეხება მესამე ნაწილს, მასში შეჯამებულია საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების აზრი საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევის კუთხით არსებული სიტუაციისა. კვლევის ბოლოს საშუალება გვაქვს გავცნოთ შედარებას ადამიანის უფლებებზე ესტონეთსა და საქართველოში მოსახლეობის მასობრივი გამოკითხვის შესახებ.

კვლევის პირველი ნაწილი მოსახლეობის აზრის გამოკითხვაზე დაყრდნობით ზუსტად ახასიათებს იმ პრობლემებს, რომლებიც ადამიანის უფლებების საკითხთან დაკავშირებით არსებობს საქართველოსა და ესტონეთში. პირველ რიგში, ეს ეხება მოსახლეობის განათლების დაბალ დონეს აღნიშნული თემის გარშემო. არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ესტონეთშიც საზოგადოების დიდ ნაწილს უჭირს ადამიანის უფლებების ცნების განსაზღვრა, რაც საფუძველია იმის, რომ შემდგომში ამ ადამიანებს კიდევ უფრო გაუჭირდებათ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების იდენტიფიცირება და საკუთარი უფლებების დაცვა.

კვლევის ამ ნაწილის დიდი პლიუსი არის კვლევის რეპრეზენტატიულობა. გამოიკითხა ქვეყნის დედაქალაქის და კიდევ 9 რეგიონის მოსახლეობა, ჯამში 1000 რესპოდენტი. ეს კი გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ კვლევა მიახლოებით მაინც ასახავს ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის აზრს და შეგვიძლია შედეგების განზოგადება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რაც კვლევას რეპრეზენტატიულს ხდის, არის გამოკითხვაში მოსახლეობის თითქმის ყველა ასაკობრივი ჯგუფის და ასევე, ეთნიკური ჯგუფების ჩართულობა. ეთნიკური უმცირესობების უფლებები ხშირად ირღვევა, ამიტომ მათი მონაწილეობა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ გამოკითხვებსა და კვლევებში და მათი აზრების, დამოკიდებულებების და შეხედულებების შესწავლა განსაკუთრებულად საჭირო და აუცილებელია.

კვლევის კიდევ ერთი პლიუსი იყო გამოკითხვაში სოფლის და რეგიონების მოსახლეობის ჩართვა. ქართულ რეალობაში ხშირია შემთხვევა, როცა ამა თუ იმ მასობრივი გამოკითხვის არეალი არ სცილდება დედაქალაქის ან დიდი ქალაქების საზღვრებს. ამიტომ, სასოფლო ტერიტორიების მოსახლეობის გამოკითხვა მათი

პრობლემების უკეთ წარმოჩენის მიზნით ღირებულება, რომ აღარაფერი ვთქვათ ფაქტზე, რომ ეს კვლევას უფრო მეტად რეპრეზენტატიულს ხდის.

მასობრივი გამოკითხვა საშუალებას იძლევა ზუსტად დახასიათდეს საზოგადოებაში არსებული მთავარი პრობლემები, რომელიც ადამიანის უფლებებს უკავშირდება. საქართველოში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის საკითხი. გამოკითხვამ აჩვენა, რომ ძალიან მაღალია მოსახლეობის ის პროცენტული წილი, რომელიც თვლის, რომ ქვეყანაში ადამიანის უფლებები დაცული არ არის. გამოკითხულთა 64% თვლის, რომ საქართველოში ადამიანის უფლებებს არ სცემენ პატივს და არ იცავენ, ეს კი საგანგაშოდ მაღალი მაჩვენებელია. ამ კვლევამ კიდევ ერთხელ გამოკვეთა, რამდენად ბევრი სამუშაო აქვს სახელმწიფოს ამ კუთხით მდგომარეობის გამოსასწორებლად.

გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველოში ადამიანის უფლებები სოციალურ სფეროში ისევე ირღვევა, როგორც სხვა სფეროებში. გასაკვირი არ იყო, რომ ეს მაჩვენებელი თბილისში მეტია, ვიდრე რეგიონებში, რაც აიხსნება დედაქალაქში განათლების და საკითხის ცოდნის უფრო მაღალი დონით, ასევე, ადამიანის უფლებების დაცვის მეტი შესაძლებლობებით. ხშირად დარღვეულ პრობლემათა შორის დასახელდა შრომითი უფლებები (როგორც დასაქმებული, ასევე, უმუშევარი რესპონდენტების მხრიდან). ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ საქართველოს კანონდებლობით უფრო მეტადაა მოსაწესრიგებელი შრომითი კოდექსი, ხოლო შრომითი უფლებების დაცვას მეტი კონტროლი და მონიტორინგი სჭირდება. დარღვეულ უფლებებს შორის აღინიშნა პოლიციის მხრიდან მოვალეობის შესრულების დროს და სასჯელაღსრულებით სისტემაში მოქალაქეთა უფლებების დარღვევის ფაქტები. მიუხედავად ამ მხრივ საქართველოში ბოლო წლებში განხორციელებული ცვლილებისა და რეფორმებისა, კვლევა აჩვენებს, რომ მოსახლეობა ამ მხრივ კვლავ ხვდება სერიოზულ პრობლემებს.

ის ფაქტი, რომ გამოკითხვის მიხედვით მოსახლეობის უმეტესობა ადამიანის უფლებების შესახებ ინფორმაციას მედიის საშუალებით იღებს, არ არის გასაკვირი. თუმცა ეს შედეგი მიაჩნებს იმაზე, რომ უნდა გაიზარდოს მედიის მხრიდან მოსახლეობისთვის სწორი და მიუკერძოებელი ინფორმაციის მიწოდების, ისევე, როგორც მათთვის ცნობიერების ასამაღლებლად აუცილებელი ინფორმაციის ხარისხი.

კვლევის ერთ-ერთი ძირითადი და საინტერესო ნაწილი დაეთმო ექსპერტთა გამოკითხვას იმ სიტუაციასთან და პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით არსებობს. ექსპერტთა უმეტესობა წარმოადგენდა არასამთავრობო სექტორს, რაც შედეგების

ობიექტურობისა და რეალურობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია. ეს ორგანიზაციები საქართველოში მომუშავე აქტიური ორგანიზაციები არიან, რომლებსაც ყველაზე ნათელი წარმოდგენა აქვთ ადამიანის უფლებების დაცვის თუ დარღვევის ფაქტების შესახებ.

არასამთავრობო ორგანიზაციების გარდა გამოიკითხა ორი მედია საშუალების წარმომადგენელი და, ასევე, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები. ეს კი კვლევაში პრობლემის რამდენიმე კუთხიდან დანახვისა და წარმოჩენის შესაძლებლობას იძლეოდა.

ექსპერტთა გამოკითხვის შედეგად, მოსახლეობის გამოკითხვის შედეგებთან შედარებით, ბევრი ახალი პრობლემა გამოიკვეთა. მაშინ, როცა მოსახლეობის უმეტესობა სოციალურ, შრომით, ეკონომიკურ უფლებებზე საუბრობდა, ასევე, ახსენებდა პენიტენციურ სისტემაში არსებულ დარღვევებს, ექსპერტებმა ამ პრობლემებთან ერთად გამოკვეთეს ისეთი პრობლემები, რომლებიც საქართველოში აქტუალურად დგას: ბავშვთა უფლებების დაცვა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების დაცვა, ქალთა უფლებების დაცვა, რელიგიური უმცირესობების, ეთნიკური და სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვა, მოხუცთა თავშესაფრების პრობლემა, საკუთრების უფლებების დაცვა, ნეპოტიზმი და ა.შ.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები უფრო მეტად კრიტიკულები არიან და მათი საუბარი დაფუძნებულია კონკრეტულ მაგალითებზე, შემთხვევებსა და ფაქტებზე. ეს ორგანიზაციები ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე ყოველდღიურად მუშაობენ, ამიტომ მათი მოსაზრებები ობიექტური და სანდოა.

სოციალური უფლებებიდან ექსპერტები აქტიურად განიხილავდნენ შრომითი უფლებების დარღვევას და ამ მხრივ სახელმწიფოს მხრიდან აუცილებლად გადასადგმელ ნაბიჯებს. ექსპერტების მხრიდან სახელმწიფო კანონმდებლობა დახასიათებულ იქნა, როგორც დისკრიმინაციული მთელ რიგ საკითხებში, მაგალითად, რელიგიურ უმცირესობათა დაცვის თვალსაზრისით.

გასაკვირი არ იყო, რომ ბევრმა ექსპერტმა ყველაზე აქტუალურ პრობლემად ქალთა უფლებების დარღვევა დაასახელა. მოსახლეობა ამ პრობლემის არსებობას უარყოფს, თუმცა სტატისტიკა საპირისპიროს მეტყველებს, საპირისპიროს ამტკიცებენ ექსპერტებიც. მათ მოსაზრებას ძირითად განამტკიცებს ფაქტები და მტკიცებულებები. ეს ადამიანები ყოველდღიურად მუშაობენ ქალთა პრობლემებზე. განსაკუთრებით მტკივნეული პერიოდი იყო

საქართველოში გახშირებული ქალთა მკვლევლობები, რამაც სამოქალაქო სექტორისგან და რიგი სოციალური მოძრაობების მხრიდან აქტიური პროტესტი გამოიწვია.

ქალთა უფლებებს შორის განსაკუთრებით მწვავედ შრომითი უფლებები დგას, რაც ქალის მხრიდან დედობის როლის სამსახურთან შეთავსების პრობლემებს უკავშირდება. დღეს საქართველოში ქალები ბევრ წინააღმდეგობას აწყდებიან სამსახურებში.

ექსპერტებმა აქტიურად ისაუბრეს უმცირესობების უფლებების დარღვევაზე. როგორც აღმოჩნდა, ადამიანის უფლებებს ხშირად ის ადამიანები არღვევენ, რომლებსაც მათი დაცვა ევალუბათ - სამართალდამცავები. ასეთი შემთხვევები, ძირითადად, სექსუალურ უმცირესობებთან მიმართებით ფიქსირდება, რაც ქართულ საზოგადოებაში სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლების სრულფასოვან მოქალაქეებად აღქმასთან დაკავშირებული სირთულეებით შეიძლება იყოს განპირობებული.

მნიშვნელოვანია, რომ ექსპერტებმა ისაუბრეს უპატრონო და უსახლკარო ბავშვების პრობლემებზე. დედაქალაქის ქუჩებში გავრცელებული პრობლემა უკვე წლებია სახელწმიფოს მხრიდან უყურადღებოდ რჩება და ქმედითი ნაბიჯები ჯერ არ გადადგმულა.

ექსპერტები ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პრობლემების გამომწვევ მთავარ მიზეზებად კანონმდებლობის ხარვეზებს, სახელმწიფო პოლიტიკის არაეფექტურობას, რელიგიის გავლენას და ცნობიერების დაბალ დონეს ასახელებენ. შეგვიძლია, ასევე, დავასახელოთ ქვეყანაში არსებული სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც მოსახლეობას არ აძლევს საშუალებას ადამიანის უფლებების საკითხი უფრო პრიორიტეტულ პრობლემად დააყენოს.

მართალია საქართველო, ექსპერტების შეფასებით, ევროკავშირის ქვეყნებს ადამიანის უფლებების დაცვის და, განსაკუთრებით, სოციალური უფლებების რეალიზაციის თვალსაზრისით აშკარად ჩამორჩება, მაინც უნდა აღინიშნოს გარკვეული პროგრესი, რომელიც ქვეყანას აქვს. დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის პროცესში ადამიანის უფლებების მდგომარეობაც გამოსწორდება.

თანაც, მართალია საქართველო ევროკავშირის ქვეყნების უკანაა, თუმცა საპირისპირო შეგვიძლია ვთქვათ მეზობელ ქვეყნებთან შედარების შემთხვევაში. საქართველო სამოქალაქო აქტივიზმის და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით რეგიონში მოწინავე პოზიციაზეა, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ დემოკრატიული განვითარებით საქართველო მეზობელ ქვეყნებს შორის ლიდერია.

კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ადამიანის უფლებების საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების მიერ საქართველოში არსებული სიტუაციის მიმოხილვა, შეფასება და გარკვეული რეკომენდაციების მიცემა.

არსებული კვლევა თავისი მიგნებებით საინტერესო სახელმძღვანელო და მიმართულებების მიმცემი შეიძლება იყოს როგორც საქართველოს მთავრობისთვის და ოფიციალური სტრუქტურებისთვის, ისე სამოქალაქო სექტორისთვის და საზოგადოებისთვის, რათა გაიზარდოს პრობლემურ საკითხებზე მუშაობის ხარისხი და ამალოდეს საზოგადოების ცნობიერების დონე.